

ფორმათწარმოებაში მნიშვნელოვანის ზეგავლენის  
ერთი უმთხვევისათვის ქართულში

1. **ჰ-ყავ-ს** ზმნა ქართულში მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ ზმნისწინის დართვა მას მოქმედებითი გვარის (გარდამავალი ზმნის) მნიშვნელობას ანიჭებს:

**ჰ-ყავ-ს** → **მი-ჰ-ყავ-ს, მო-ჰ-ყავ-ს, და-ჰ-ყავ-ს, გადა-ჰ-ყავ-ს, ჩამო-ჰ-ყავ-ს, ა-ჰ-ყავ-ს...**

**მი-ჰ-ყავ-ს, მო-ჰ-ყავ-ს...** სემანტიკურად გარდამავალი ზმნებია, თუმცა მორფოლოგიური სტრუქტურითაც (ზმნაში გამოთავადება მხოლოდ მორფოლოგიური სუბიექტი და ირიბი ობიექტი) და სინტაქსური კონსტრუქციითაც (კონსტრუქცია ინვერსიულია: **მი-ჰ-ყავ-ს** მას ის) გარდაუვალი ზმნის ჩვენებას იძლევა.

**ყავ-** ფუძე ამ მნიშვნელობისათვის გამოყენებულია მხოლოდ აწმყოს წრის ნაკვთებში (**მი-ჰ-ყავ-ს, მი-ჰ-ყავ-და, მი-ჰ-ყავ-დ-ე-ს...**), სხვა ნაკვთებში ფუძე ეცვლება და მორფოლოგიური სტრუქტურითაც და სინტაქსური წყობითაც გარდამავალი ზმნების რიგში დგება: **მი-ჰ-ყავ-ს მას ის, მაგრამ: წა-ი-ყვან-ს ის მას, წა-ი-ყვან-ა მან ის, წა-უ-ყვან-ია მას ის...** გამოიყენება **ყვან-** ფუძე, რომელიც ძველ ქართულსა და თანამედროვე დიალექტებში (ქართლურში, კახურში, მთიულურში...) აწმყოს წრის ნაკვთებშიც იხმარება: „**მო-ჰ-ყვან-დ-ეს** მისა ყოველნი სნეულნი“ (მარკოზ, I, 32); „და ოზიას და ძმათა მისთა **მო-ჰ-ყვან-დ-ა** ურემი იგი“ (წიგნი პირველი ნეშტთაჲ, 13, 7). ამჟამად კი **მო-ჰ-ყვან-დ-ა, მო-ჰ-ყვან-დ-ეს...** ნორმაა ხსენებული დიალექტებისათვის.

**მო-ჰ-ყავ-ს** ტიპის ფორმებს, როგორც სემანტიკურად გარდამავალ ზმნებთან გატოლებულებს, მოეპოვება შესაბამისი ვნებათი: **მო-ჰ-ყავ-ბ-ა** (და ასე: **მი-ჰ-ყავ-ბ-ა, და-ჰ-ყავ-ბ-ა, ჩა-ჰ-ყავ-ბ-ა...**).

ვნებითი უღვლილებისას აღარ იმეორებს მოქმედებითის თავისებურებას — ფუძეს არ იცვლის, იუღვლის ჩვეულებრივი წესით: **მო-ჰ-ყავ-ბ-ა — მო-ჰ-ყავ-ა — მო-ჰ-ყავ-ი-ა...** (III სერიაში, როგორც ყველა ორპირიანი გარდაუვალი ზმნა, იყენებს მასდარის ფუძეს).

ოლონდ ეგაა: იმ ნაკეთებში, სადაც ვნებითის ფორმები ფუძეს სრული სახით აღიდგენს, ე განმოვანება გვაქვს: **მო-ვ-ყევ-ი, მო-ჰ-ყევ-ი...** შდრ. **მო-მ-ყავ-ს, მო-გ-ყავ-ს. ყავ-** და **ყევ-** ფუძეთა დაპირისპირება ისტორიული თვალსაზრისით იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს.

**მო-ჰ-ყავ-ს** და **მო-ჰ-ყევ-ა** იმ რიგის ზმნებს განეკუთვნება, რომელთაც თავ-თავისი, გვარის მიხედვით გარჩეული მასდარი მოეპოვებათ: **მო-ყვან-ა** და **მო-ყოლ-ა** (ძველ ქართულში — **მო-ყვან-ებ-ა** ნაცვლად **მო-ყვან-ა** ფორმისა).

2. ამრიგად, **მო-ჰ-ყავ-ს** ზმნას ვნებითად მოუღის **მო-ჰ-ყევ-ა** (და ასე: **მი-ჰ-ყავ-ს — მი-ჰ-ყევ-ა, და-ჰ-ყავ-ს — და-ჰ-ყევ-ა...**).

ამ რიგის მოქმედებითი და ვნებითი მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, თავს იჩინს ლექსიკური სხვაობაც. შევუდაროთ ერთმანეთს მათი განმარტებანი<sup>2</sup>:

**მო-ჰ-ყავ-ს** — 1. აძლულებს ან საშუალებას აძლევს მასთან ერთად მოდიოდეს; 2. მოდენის, მოერეკება; 3. მართავს, უძღვება („მეტყვეებს მოჰყავდათ ტივი“); 4. იმოწმებს („ციტატა მოჰყავს“); 5. იწვევს (საზრდოს): „ატენის ხეობაში მოჰყავთ შესანიშნავი ჯიშის ყურძენი“.

**მო-ჰ-ყევ-ა** — 1. ეინმესთან ან რამესთან ერთად მოვა; 2. თან მოიყვანს, თან მოიტანს („ზამთარს სუსხი მოჰყვება“); 3. ერთი მეორის შემდეგ იქნება, ერთი მეორეს შეცვლის („ზამთარს ზაფხული მოჰყვება“); 4. მოექცევა, მოხვდება („თევზი ბაღში მოჰყვება“); 5. რისამე გასწვრივ მოღის („ჭაობის კიდეს მოჰყვება“); 6. დაიწყებს („სიმღერას მოჰყვება“); 7. რაიმე ამბავს იტყვის, რასმე თხრობით, ზეპირად გადმოსცემს („მოჰყვება ცრისა და ბარის ამბებს“).

შედარება ნათელს ხდის, რომ **მო-ჰ-ყავ-ს** და **მო-ჰ-ყევ-ა** ერთმანეთის მიმართ მოქმედებითი და ვნებითია მხოლოდ პირველი მნიშვნელობის შემთხვევაში: „დღედას შვილი მოჰყავს“ — „დღედას შვილი მოჰყვება“.

მოქმედებითის სხვა მნიშვნელობებისათვის იმავე ფუძისაგან ნაწარმოები ვნებითის ფორმა არა გვაქვს.

<sup>1</sup> ვ. თ. ფ. რ. ა., მესამე ტომის ვნებითის წარმოება ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 9, 1942, გვ. 969.

<sup>2</sup> დამოწმებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რედაქციის (1950-1964 წ.წ.) მიხედვით.

- რაც შეეხება ენებითის მნიშვნელობებს, აქ ორი შესაძლებლობაა:
- ა) შესაბამისი მოქმედებითი არ იბოვება („ზამთარს სუსხი მოჰყვება“, „ჭაობის კიდეს მოჰყვება“...);
  - ბ) შესაბამის მოქმედებითად სხვაგვარი წარმოების ფორმა ივარაუდება:

„თევზი ბადეს (ბადეში) მოჰყვება“ — „თევზს ბადეში მოაყოლებს“; „ამბავს მოჰყვება“ — „ამბავს მოაყოლებს“...  
შდრ.: მო-ჰ-ყავ-ს ბავში — მო-ჰ-ყვ-ებ-ა ბავში.

3. მო-ჰ-ყავ-ს (ასევე: მი-ჰ-ყავ-ს, გადა-ჰ-ყავ-ს...) შექმნილია ზმნისწინის გარეშე იქნეს გამოყენებული — მაშინ მას სულ სხვა ლექსიკური მნიშვნელობა ექნება: ჰ-ყავ-ს („ეკუთვნის, მისია ცოცხალი არსება“). ამის გამო ზმნისწინიანი ფორმა აქ აწმყოს გაგებას იძლევა. მყოფადში, როგორც ითქვა, ფუძე იცვლება: მო-ი-ყვან-ს...

ენებითში სხვაგვარი ვითარებაა.

ზოგიერთი ლექსიკური მნიშვნელობისათვის დასაშვებია მხოლოდ ზმნისწინიანი ვარიანტის გამოყენება, რის გამოც აწმყო და მყოფადი კონტექსტილია განირჩევა:

ა წ მ ყ ო : „**მოჰყვება**“ (=გასწვრივ მოდის) შეძრწუნებულ გიორგი ღიჭინათ დაბარდულ ჭაობების კიდეს“ (კ. გამს.).

მ ყ ო ფ ა დ ი : „ბუდიდან ჭერ ერთი ბარტყი ამოფრინდება, მას **მოჰყვება**“ (=ამოვა, ამოფრინდება) მეორე“ (ი. გოგებ.).

ზოგჯერ აწმყოშივე დასაშვებია პარალელურად იხმარებოდეს უზმნისწინო და ზმნისწინიანი ვარიანტები:

„ყოველ ადამიანს დაბადებიდან **ჰყვება** მიდრეკილება და ნიჭი დედის ადვილად და ღრმად შესწავლისა“ (ი. გოგებ.). (შდრ.: „ყოველ ადამიანს დაბადებიდან **დაჰყვება** მიდრეკილება და ნიჭი...“).

იმავედროულად მნიშვნელობისათვის „ამბავს იტყვის, რასმე თბრობით, ზებირად გადმოსცემს“ უზმნისწინო და ზმნისწინიანი ვარიანტების გამოყენება უთუოდ იმიჯნება დროის მიხედვით:

ა წ მ ყ ო : „**ჰ-ყვ-ებ-ა** ცისა და ბარის ამბებს“;

მ ყ ო ფ ა დ ი : „**მო-ჰ-ყვ-ებ-ა** ცისა და ბარის ამბებს“.

აქედან ერთადერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: სხვადასხვა ლექსიკურმა მნიშვნელობამ განასხვავა ნაკვეთულთა წარმოების პრინციპები (ერთ შემთხვევაში მხოლოდ ზმნისწინიანი ფორმა გამოიყენება და ამის გამო აწმყო-მყოფადი კონტექსტილი განირჩევა, მეორე შემთხვევაში უზმნისწინო და ზმნისწინიანი ვარიანტები პარალელურად იხმარება, მე-

სამე შემთხვევაში კი უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმებში აწმყო-  
მყოფადის დასაპირისპირებლად აშკარად იმიჯნება).

4. უღვლილებისას სხვაობა თავს იჩენს III სერიაშიც იმის მიხედ-  
ვით, თუ რა მნიშვნელობა გამოიხატება **მო-ჰ-ყვ-ებ-ა** ზმნით: ა) ვისიმე  
ან რისამე თანხლება („დედას შვილი **მოჰყვება**“), რომლის სემანტიკურა-  
მოდულიცაა: „თან მოიყვანს, თან მოიტანს“ („ზამთარს სუსხი **მოჰ-  
ყვება**“); „ერთი მეორის შემდეგ იქნება“ („ზამთარს ზაფხული **მოჰყვე-  
ბა**“); „რისამე გასწვრივ მოდის“ („ჭაობის კიდეს **მოჰყვება**“)... ბ) „მო-  
ექცევა, მოხვდება“ („თევზი ბადეში **მოჰყვება**“)... გ) „რაიმე ამბავს  
იტყვის“ („**მოჰყვება** ცისა და ბარის ამბებს“)...

	ა.	ბ.	გ.
აწმყო:	მოჰყვება.	მოჰყვება	ჰყვება
მყოფადი:	მოჰყვება	მოჰყვება	მოჰყვება
ნამყო ძირით.:	მოჰყვა	მოჰყვა	მოჰყვა
I შედეგობ.:	მოჰყოლია	მოყოლილა	მოუყოლია
II შედეგობ.:	მოჰყოლოდა	მოყოლილიყო	მოეყოლა

შესაბამისი მოქმედებითი სამივე ხსენებული მნიშვნელობისათვის  
გვაქვს: პირველი მნიშვნელობისათვის **მო-ჰ-ყვ-ს**, ხოლო მისი სემან-  
ტიკური მოდიფიკაციებისათვის ან საერთოდ არ ივარაუდება მოქმედე-  
ბითის ფორმა („ზამთარს სუსხი მოჰყვება“, „ჭაობის კიდეს მოჰყვე-  
ბა“ — **მო-ჰ-ყვ-ებ-ა** ამ მნიშვნელობით მოქმედებითს ვერ შეიწყობს),  
ან გამოიყენება **ა-ყოლებ-ს** ფორმა („სიტყვას საქმეს **მოაყოლებს**“ —  
„სიტყვას საქმე **მოჰყვება**“); მეორე და მესამე მნიშვნელობებს მოქმე-  
დებითად **ა-ყოლ-ებ-ს** შეესაბამება: **ა-ყოლ-ებ-ს**, **მო-ა-ყოლ-ებ-ს**, **მო-ა-  
ყოლ-ა**, **მო-უ-ყოლ-ებ-ი-ა**...

მესამე სერიაში ასეთი შეპირისპირება იქნება:

	მოქმედებითი:		ვ ნ ე ბ ი თ ი:	
	ა.	ბ.	გ.	
I შედეგ.:	მოუყოლებია	— მოჰყოლია	მოყოლილა	მოუყოლია
II შედეგ.:	მოეყოლებინა	— მოჰყოლოდა	მოყოლილიყო	მოეყოლა
III კავშ.:	მოეყოლებინოს	— მოჰყოლოდეს	მოყოლილიყოს	მოეყოლოს

რაც შეეხება **მოჰ-ყავ-ს** ზმნას, იგი მხოლოდ პირველი მნიშვნელო-  
ბისათვის იხმარება. შეპირისპირება ასეთი იქნება:

	მოქმედებითი:	ვნებითი:
I შედეგ.:	მოუყვანია	მოჰყოლია
II შედეგ.:	მოეყვანა	მოჰყოლოდა
III კავშ.:	მოეყვანოს	მოჰყოლოდეს

ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი: თავს იჩენს აშკარა ტენდენცია, რომ ვნებითის ფორმებში მორფოლოგიურად განირჩეს ის მნიშვნელობები, რომლებიც გაუდიფერენცირებელია მოქმედებითის ყალიბში და გარჩევა კონტრექსტითა ხერხდება: მოუყოლებია, მაგრამ: მოჰყოლია, მოყოლილა, მოუყოლია...

თავის მხრივ, სხვაობა მო-უ-ყოლ-ებ-ი-ა და მო-უ-ყოლ-ი-ა ფორმებს შორის იმის ანალოგიურია, რაც საერთოდ გვაქვს მოქმედებითსა და „საშუალ“ (სტატიკურ) ფორმებს შორის: უ-თამაშ-ებ-ი-ა, — უ-თამაშ-ი-ა, უ-ვარჯიშ-ებ-ი-ა — უ-ვარჯიშ-ი-ა... (აწმყოში: ა-თამაშ-ებ-ს — თამაშ-ობ-ს, ა-ვარჯიშ-ებ-ს — ვარჯიშ-ობ-ს...). ნიშანდობლივია: ვნებითის უღვლილება იყენებს ე. წ. „მედიათაქტიური“ ფორმებისათვის დამახასიათებელ ყალიბებს, რადგან სემანტიკური შეპირისპირება ა-ყოლ-ებ-ს და ჰ-ყვ-ებ-ა ფორმებისა სცილდება მოქმედებითისა და ვნებითის ურთიერთობის ფარგლებს (თუმცა ფორმობრუნ მოქმედებითი და ვნებითია ერთურობის მიმართ) და იმავე დონეზე გაიაზრება, რაც ა-თამაშ-ებ-ს — თამაშ-ობ-ს, ა-წუხ-ებ-ს — წუხ-ს და მისთ.

5. სემანტიკური გადახრები ზეგავლენას ახდენს ქცევის ფორმათა წარმოებაზედაც.

ჰ-ყვ-ებ-ა მესამე ტიპის („უნიშნო“) ვნებითია და ამიტომაც მას მხოლოდ ნეიტრალური და საობიექტო ქცევის ფორმები შეიძლება ჰქონდეს: ჰ-ყვ-ებ-ა — უ-ყვ-ებ-ა.

საობიექტო ქცევის უზმნისწინო ვარიანტი უ-ყვ-ებ-ა გამოიყენება მხოლოდ ამ მნიშვნელობისათვის: „უამბობს, მოუთხრობს“; „ცეცხლაპირა მსხდომარ ბავშვებს უყვებოდი მოვრძო ზღაპარს“ (გ. ლეონ.).

რაც შეეხება მო-ზმნისწინიან ფორმას (მო-უ-ყვ-ებ-ა), იგი პოლისემიურია:

ა) „მოუყვება (=მოუთხრობს) თავის თავგადასავალს“;

ბ) „გზისპირს მოუყვება (=მოჰყვება, მოსდევს)“.

ყველა სხვა ზმნისწინიანი ფორმით გამოიხატება თან მიდევნების სემანტიკა: მი-უ-ყვ-ებ-ა, გა-უ-ყვ-ებ-ა, და-უ-ყვ-ებ-ა, ჩა-უ-ყვ-ებ-ა...

თავისებურება (და არსებითი ხასიათის თავისებურებაც!) იმითაც ვლინდება, რომ თანმიდევნების მნიშვნელობისათვის საობიექტო ქცევის ფორმები ზმნის ობიექტური წყობისას მხოლოდ III პირისათვის მოგვეპოვება, ანუ: გვაქვს მი-უ-ყვ-ებ-ა, მაგრამ არ არსებობს: \*მი-მ-ი-ყვ-ებ-ა, \*მი-გ-ი-ყვ-ებ-ა... ასევე: გა-უ-ყვ-ებ-ა, მაგრამ არ ივარაუდება: \*გა-მ-ი-ყვ-ებ-ა, \*გა-გ-ი-ყვ-ებ-ა... (ირიბ ობიექტად უსულო საგანი იგულისხმება).

რაც შეეხება მო-უ-ყვ-ებ-ა ფორმას, იგი პოლისემიურია მხოლოდ მესამე პირში (იხ. ზემოთ), პირველი და მეორე პირის ობიექტური წყო-

ზის ფორმები (მო-მ-ი-ყვ-ებ-ა, მო-გ-ი-ყვ-ებ-ა...) მონოსემიური ხდებოდა — გამოხატავს მხოლოდ მნიშვნელობას „მომითხრობს, მოგითხრობს“ (ირიბი თბიეჟტად სუღიერი, სახელღობრ, ვინ ჯგუფის საგანი იგუღლის-ხმება).

თავისებურება სხვაც არის. კერძოდ, არსებთთია ის ფაქტი, რომ თხრობის მნიშვნეღობის გამოხატვისას ნეიტრალური ქცევისათვის იხმარება მხოლოდ სუბიეჟტური წყობის ფორმები:

აწმყო: ვ-ყვ-ებ-ი, ჰ-ყვ-ებ-ი, ჰ-ყვ-ებ-ა... (ამბავს).

მყოფადი: მო-ვ-ყვ-ებ-ი, მო-ჰ-ყვ-ებ-ი, მო-ჰ-ყვ-ებ-ა... (ამბავს).

ნამყო ძირითადი: მო-ვ-ყვე-ი, მო-ჰ-ყვე-ი, მო-ჰ-ყვე-ა... (ამბავს).

არ გამოიყენება: \*მო-მ-ყვ-ებ-ა, \*მო-გ-ყვ-ებ-ა... (ამბავს).

საობიეჟტო ქცევისას კი გვაქვს როგორც სუბიეჟტური, ასევე თბიეჟტური წყობის რიგი:

	სუბიეჟტური წყობა:	თბიეჟტური წყობა:
ა წ მ ყ ო:	ვ-უ-ყვ-ებ-ი	მ-ი-ყვ-ებ-ა
	უ-ყვ-ებ-ი	გ-ი-ყვ-ებ-ა
	უ-ყვ-ებ-ა	უ-ყვ-ებ-ა
მყოფადი:	მო-ვ-უ-ყვ-ებ-ი	მო-მ-ი-ყვ-ებ-ა
	მო-უ-ყვ-ებ-ი	მო-გ-ი-ყვ-ებ-ა
	მო-უ-ყვ-ებ-ა	მო-უ-ყვ-ებ-ა
ნამყო:	მო-ვ-უ-ყვე-ი	მო-მ-ი-ყვე-ა
	მო-უ-ყვე-ი	მო-გ-ი-ყვე-ა
	მო-უ-ყვ-ა	მო-უ-ყვ-ა...

ამ ვითარებამ კი, თავის მხრივ, გამოიწვია ის, რომ იქ, სადაც ამის საშუალება ენას მიეცა, მოხდა მნიშვნეღობათა ფორმოთბრივი გარჩევა:

ა) სუბიეჟტური წყობა:

I სერია — ა წ მ ყ ო: ვ-ყვ-ებ-ი („ვამბობ“), შღრ.: მო-ვ-ყვ-ებ-ი  
 („მასთან ერთად მოვღღივარ“)  
 ჰ-ყვ-ებ-ი მო-ჰ-ყვ-ებ-ი  
 ჰ-ყვ-ებ-ა მო-ჰ-ყვ-ებ-ა...

მყოფადის წრესა და II სერიაში გარჩევა კონტეჟქსტოთ ხღდება.

III სერია — I შღდევღობითი: მომ-ი-ყო-ღ-ი-ა მო-ვ-ყოღი-ვარ  
 მო-გ-ი-ყოღ-ი-ა მო-ჰ-ყოღი-ხარ  
 მო-უ-ყოღ-ი-ა მო-ჰ-ყოღ-ი-ა...

ბ) ობიექტური წყობა:

ა წ მ ყ ო:	(*მ-ყვ-ებ-ა)	მო-მ-ყვ-ებ-ა
	(*გ-ყვ-ებ-ა)	მო-გ-ყვ-ებ-ა
	(*ჰ-ყვ-ებ-ა) <sup>3</sup>	მო-ჰ-ყვ-ებ-ა და ა. შ.

დასახელებული იყო ნეიტრალური ქცევის ნიმუშები.

გარჩევის ტენდენცია თავს იჩენს საობიექტო ქცევის დროსაც:

ა) სუბიექტური წყობა:

ა წ მ ყ ო:	ვ-უ-ყვ-ებ-ი („ვეუამბობ“),	შდრ.: მო-ვ-უ-ყვ-ებ-ი
		(„ქუჩის, გზას, ტბის პირს“...)
	უ-ყვ-ებ-ი	მო-უ-ყვ-ებ-ი
	უ-ყვ-ებ-ა	მო-უ-ყვ-ებ-ა

ბ) ობიექტური წყობა:

ა წ მ ყ ო:	მ-ი-ყვ-ებ-ა („მიამბობს“)	—
	გ-ი-ყვ-ებ-ა	—
	უ-ყვ-ებ-ა	—
მყოფადი:	მო-მ-ი-ყვ-ებ-ა	—
	მო-გ-ი-ყვ-ებ-ა	—
	მო-უ-ყვ-ებ-ა	—
ნამყო:	მო-მ-ი-ყვ-ა	—
	მო-გ-ი-ყვ-ა	—
	მო-უ-ყვ-ა	—

მესამე სერიაში კი უკვე წარმოების პრინციპი განასხვავებს ფორ-  
მობრივ ამ მნიშვნელობებს:

I შედეგობითი:	მო-მ-ი-ყოლ-ი-ა	მო-ვ-ყოლი-ვარ
	მო-გ-ი-ყოლ-ი-ა	მო-ჰ-ყოლი-ხარ
	მო-უ-ყოლ-ი-ა <sup>4</sup>	მო-ჰ-ყოლ-ი-ა...

<sup>3</sup> ეს ფორმები არა გვაქვს მნიშვნელობისათვის „ჩემთან||შენთან||მასთან ერთად მოდის“, მაგრამ გვხვდება ამ მნიშვნელობით: „მზაძაეს, ჩემს მოქმედებას იმეორებს; გზაძაეს, შენს მოქმედებას იმეორებს“; სიმღერაში მყვება, გყვება, მყოფადი: ამყვე-  
ბა, აგყვება...

<sup>4</sup> ამავე მნიშვნელობის გამოსახატავად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ასეთი ფორმაც: მო-ვ-ყოლ-ილ-ვარ (ამზავს). ყურადღებას იქცევს ის, რომ უფუძელ მიმდუ-  
ობაა ნახშიარი: მო-ყოლ-ილ(-ი); შდრ.: მო-ვ-ყოლ-ი-ვარ („მასთან ერთად მოვსე-  
ვარ“) სადაც ფუძელ მასდარია: მო-ყოლ-ა—მო-ვ-ყოლ-ა-ვარ. დაპარისპირება: იმავე  
რიგისაა, რაც: და-ვ-მალ-ულ-ვარ — და-ვ-მალე-ვარ.

ეს ფორმები ემთხვევა ნეიტრალური ქცევის ფორმებს (იხ. ზემოთ):  
გ-ყვ-ებ-ი, გ-უ-ყვ-ებ-ი → მო-მ-ი-ყოლ-ი-ა; მო-გ-ყვ-ებ-ი, მო-გ-უ-ყვ-  
-ებ-ი → მო-გ-ყოლილ-ვარ... მნიშვნელობებს კონტექსტით განარჩევს.

ყურადღებას იქცევს ერთი მოვლენაც: „ჰყვება ამბავს“ მოქმედე-  
ბითად შეესაბამება „აყოლებს ამბავს“; და ასე: „მოჰყვება ამბავს“ —  
„მოაყოლებს ამბავს“... ნეიტრალური ქცევის მოქმედებითს შეესაბა-  
მისება ნეიტრალური ქცევისვე ვნებითი (მიმართება იმავე რიგისაა,  
რაც: ა-წუხ-ებ-ს — წუხ-დ-ებ-ა...). მაგრამ საობიექტო ქცევა მოუპოვება  
მხოლოდ ვნებითს: უ-ყვ-ებ-ა, დამოუკიდებლივ მოქმედებითისაგან, რო-  
მელიც თბრობის მნიშვნელობისათვის საერთოდ ვერ იწარმოებს საო-  
ბიექტო ქცევის ფორმას (შდრ.: უ-წუხ-ებ-ს — უ-წუხ-დ-ებ-ა).

6. არის ფორმობრივი სხვაობის დამყარების სხვა ტენდენციებიც,  
რომლებიც ამჟამად მხოლოდ დიალექტებში იჩენენ თავს.

ჰ-ყვ-ებ-ა („თბრობის“ მნიშვნელობით) ყალიბის მიხედვით ვნები-  
თია, მაგრამ სემანტიკურად აქტიურ მოქმედებას გამოხატავს; ეს კი  
გავლენას ახდენს მისი სინტაქსური შეხამების უნარზე — II სერიის  
ფორმებთან სუბიექტი მთხრობითი ბრუნვის ფორმითა აქვს შეხამე-  
ბული, თბიექტი — სახელობითის ფორმით: „მეზობელმა ერთი ამბავი  
მოჰყვა“, უფრო ხშირია ასეთი შემთხვევები საობიექტო ქცევის ფორ-  
მებთან (გასაგები მიზეზის გამო: ზმნა სამპირიანი ხდება, ე. ი. პირთა  
რაოდენობით გარდამავალ ზმნას უტოლდება):

„ეს ამბავი იქ მომიყვა... ამხანაგმა“; „იორამმა მოუყვა ბაჩანას“;  
„ბებიამ ფოტოსურათის ამბავი მოუყვა“.

ამ ტენდენციამ სალიტერატურო ენაშიც გაჟონა და დღეს ნაბეჭდ  
ტექსტებშიც საკმაოდ შეიძლება შეგვხვდეს ამ რიგის კონსტრუქცი-  
ებიან...

7. ჰ-ყვ-ებ-ა, უ-ყვ-ებ-ა ზმნების აქტიური სემანტიკა პირის ნიშანთა  
გამოყენებაზედაც ახდენს ზეგავლენას. იგულისხმება ნამყო ძირითადის  
მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმები, სადაც მოქმედებითი და  
ვნებითი განირჩევა -ეს და -ნენ პირის ნიშნებით: გა-ა-თბ-ეს, მავრამ:  
გა-თბ-ნენ...

ჰ-ყვ-ებ-ა (უ-ყვ-ებ-ა) მიღრეკილებას იჩენს -ეს პირის ნიშნის გამო-  
ყენებისადმი: „მათ მო-გვ-ი-ყვ-ეს (=მო-გვ-ი-ყვ-ნენ) ეს ამბავი...“  
შდრ.: „მათ მო-ა-ყოლ-ეს მას ამბავი“ (სადაც ენობრივი ნორმა და-  
ცულია). აქ უთუოდ გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ჰ-ყვ-ებ-ა, უ-ყვ-ებ-ა  
პოლისემიური ზმნების ფორმობრივი გარჩევის ტენდენციაც: „გზას  
მო-უ-ყვ-ნენ, და-უ-ყვ-ნენ“, მაგრამ: „ამბავი (=ამბავს) მო-უ-ყვ-ეს“.

5 თ. ლვინაძე, დარღვევები ვნებითი გვარის ფორმათა მართლწერისა და გა-  
მოყენებისას თანამედროვე ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები,  
წიგნი მეხუთე, თბილისი, 1983, გვ. 111.



სალიტერატურო ენის თვალსაზრისით უმართებულო ამ ფორმებს საკმაოდ ფართო გასაქანი ეძლევა ზეპირ მეტყველებაში, განსაკუთრებით — დიალექტებში, ისიც — უპირატესად დასავლეთ საქართველოს დიალექტებში.

8. ამრიგად, სემანტიკურმა ცვლილებებმა უშუალო ზეგავლენა იქონიეს ფორმათწარმოებაზედაც. კერძოდ, იცვალა უზმნისწინა და ზმნისწინიან ფორმათა მიმართება, ქცევის ფორმათა განაწილება, უღვლილების პრინციპები და (დიალექტებში) სუბიექტ-ობიექტის ბრუნვები და მრავლობითი რიცხვის III პირის ნიშნები ნამყო ძირითადის ნაკვთში.

როგორც ჩანს, ესაა ქართული ენის ზოგადი ტენდენციის ერთ-ერთი კერძო გამოვლინება. იგულისხმება სემანტიკური მომენტის ფორმათწარმოებაზე ზეგავლენის ტენდენცია, ამგვარი ზეგავლენისაკენ აშკარა მიდრეკილება, რაც სრული ძალით თავს იჩენს ხოლმე დიალექტებში და იმავდროულად ნაკლებ, მაგრამ მაინც ვლინდება სალიტერატურო ენაშიც.